| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი** |
| პროგრამის დასახელება | **ტურიზმი** |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | **ტურიზმის ბაკალავრი / Bachelor of Tourism** |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 6 სემესტრი, 180 კრედიტი:<br>-თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი<br>-ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი<br><br>**პროგრამის ეს სტრუქტურა ვრცელდება 2025 წლის 1 სექტემბრის შემდეგ ჩარიცხულ სტუდენტებზე.** |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის ხელმძღვანელი | გიორგი ქემერტელიძე - ასოცირებული პროფესორი |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამის შემუშავების თარიღი: **01.02.2018**<br><br>პროგრამა განახლდა 2026 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა შესაძლებელია, განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ. |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**პროგრამის მიზნები**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალი ტურიზმის დარგში, რომელიც აღჭურვილი იქნება ტურიზმის მუდმივად ცვალებად სექტორში წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო მულტიდისციპლინური ცოდნით და პროფესიული უნარებით და:

- ექნება თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიის მართვასთან დაკავშირებული საბაზო ცოდნა და უნარები;
- შეძლებს მიიღოს მონაწილეობა ტურისტული სერვისის ან პროდუქტის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, მდგრადი მიდგომების გათვალისწინებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დაუფლებულები იქნება მეწარმეობის პრინციპებს;

ამას გარდა, პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიფართოვონ ინტელექტუალური თვალსაწიერი და განივითარონ ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა: არგუმენტაციის, რაოდენობრივი მსჯელობის, ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციისა და აკადემიურ მუშაობასთან დაკავშირებული უნარები.

## სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. განიხილავს ტურიზმის სფეროს ძირითად ეკონომიკურ-ფინანსურ, სოციალურ-კულტურულ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და ეკოლოგიურ მახასიათებლებს და თავისებურებებს;
2. ავლენს ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ დარგებში არსებული თანამედროვე თეორიების, კონცეფციების, ტენდენციების და მიდგომების შესახებ ზოგად ცოდნას;
3. ახდენს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების აღწერას, მათი პოტენციალის შეფასებას;
4. შეუძლია ცვალებად ბიზნეს გარემოში ტურისტული სექტორის კომპანიის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობის მიღება;
5. მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, შეუძლია ბაზარზე მოთხოვნადი ტურისტული სერვისების/პროდუქტების/პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება დარგში აპრობირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით;
6. აანალიზებს ტურისტულ საქმიანობაში წამოჭრილ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაჭრის გზებსა და რეკომენდაციებს სოციალური და ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;
7. ავლენს მეწარმეობისთვის საჭირო საბაზო ცოდნასა და უნარებს, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტულ ბაზარზე ახალი პროდუქტისა და სერვისის შეთავაზებას;
8. ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად, შეუძლია გამოიყენოს რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მეთოდები ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული კვლევითი ხასიათის ნაშრომის/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულებისთვის;
9. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით;
10. ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ეფექტურად მუშაობს როგორც ავტონომიურად, ასევე გუნდში.

## სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- შემთხვევის ანალიზი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი (Flipped Classroom);
- ელექტრონული სწავლების მეთოდი;
- დისკუსია;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- გონებრივი იერიში;
- როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები;
- პრეზენტაცია;
- გამოცდილებით სწავლება;
- დემონსტრირების მეთოდი;
- რეფლექსია;
- დაკვირვება;
- სუპერვიზია;
- მოდელირება.

***შენიშვნა:*** *პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში/კონცეფციებში.*

## პროგრამის სტრუქტურა

**ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა – 180 კრედიტი:**

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული – 60 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფერო – 120 კრედიტი.

**ძირითადი სწავლის სფერო – 120 კრედიტი:**

- სავალდებულო კურსების მოდული – 96 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსების მოდული – მინიმუმ 6 კრედიტი
- პრაქტიკის მოდული – 6 კრედიტი
- არჩევითი კურსების მოდული – 12 კრედიტი

**პროგრამის ეს სტრუქტურა ვრცელდება 2025 წლის 1 სექტემბრის შემდეგ ჩარიცხულ სტუდენტებზე.**

## შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

***შენიშვნა:*** ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში და კონცეფციაში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

## დასაქმების სფეროები

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ტურიზმის სფეროს კერძო კომპანიებში, მაგალითად: ჰორეკას სექტორში, როგორც გამყვან ასევე შემომყვან ტუროპერატორულ კომპანიაში და ტურსააგენტოში, ღონისძიებების მართვის ორგანიზაციებში, დარგობრივ ასოციაციებში;
საჯარო სექტორის სხვადასხვა მმართველობით, საშუალო რგოლის პოზიციებზე მათ შორის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ობიექტებში, მუზეუმებში და სხვ.
ასევე, პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.

| სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები |
|---|
| • სალექციო აუდიტორიები და კომპიუტერული აუდიტორიები;<br>• საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;<br>• არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;<br>• Turnitin, Elearning;<br>• Ms Excel;<br>• გეო საინფორმაციო სისტემა - GIS;<br>• ოპერაციული სისტემები: Arealy, Poster, Siteminder, Mius, Opera, Syrve;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი;<br>• ბიზნესის სკოლის ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი;<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციური ცენტრი „Smart café“.<br>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექ მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი, პრეაქსელატორი Zoom-out, სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab და Startup Grind.<br><br>**ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში:**<br>აჭარა გრუპ ჰოსპიტალიტი, სასტუმრო ციტრუსი, სასტუმრო ძველი მეიდანი, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, საქართველოს შემომყვანი ტურიზმის ასოციაცია, საქართველოს ეკო ტურიზმის ასოციაცია, საქართველოს ტურიზმის ორგანიზაცია, ასოციაცია ელკანა, საქართველოს რესტორნების ასოციაცია, საქართველოს კულტურის ცენტრი, დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურისტული კომპანია ვიზიტ ჯორჯია, ტურისტული კომპანია კავკაზუს თრეველი, ტურისტული კომპანია თრეველ შოპი, ტურისტული კომპანია ქოლორ ტურ ჯორჯია, სსიპ. კურორტების განვითარების სააგენტო, სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სსიპ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ჯი-ემ-თი სასტუმროები: თბილისი მარიოტი, ქორთიარდ მარიოტი, მოქსი თბილისი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია, კასტელ ჯორჯია, თ&კ რესტორნები (მაკდონალდსი), ჯორჯიან პალას ჰოტელი, სასტუმრო სოლომონი (სიღნაღი), რეგიონალური და დისტრიბუციის კომპანია ჯეო ფუდისა. |